ბრძანება:**ბ12.12222035**

თარიღი:**22/07/2022**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“-ა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მარტის № გ-13.13220901 განკარგულების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონი, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. №1-ში, „ახალციხის ციხის“ ტერიტორიაზე (ს.კ. 62.09.51.255) მდებარე №48 და №49 შენობების (სასარგებლო ფართი 625 კვ.მ) განკარგვასთან დაკავშირებით;

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქ. №1-ში, „ახალციხის ციხის“ ტერიტორიაზე (ს.კ. 62.09.51.255) მდებარე N48 და N49 შენობების (სასარგებლო ფართი 625 კვ.მ) საწყისი წლიური საიჯარო თანხა განისაზღვროს 22500.00 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ს 2022 წლის 28 მარტის N132 აუდიტორული დასკვნის თანახმად;

3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია „ბე“ განისაზღვროს საწყისი წლიური საიჯარო თანხის 10%-ის ოდენობით;

4. ბიჯი განისაზღვროს საწყისი წლიური საიჯარო თანხის 2%-ის ოდენობით;

5. განისაზღვროს პირობიანი ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო: 2022 წლის 22 ივლისის 16:00 საათიდან - 2022 წლის 01 აგვისტოს 16:00 საათამდე;

6. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ჩაეთვალოს სარგებლობის ხელშეკრულების ვადის ბოლო პერიოდში გადასახდელი ქირის ოდენობაში;

7. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს

ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორთან გაფორმდეს სარგებლობის ხელშეკრულება;

8. აუქციონში გამარჯვებულ პირთან გაფორმებული სარგებლობის ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 5 წლის ვადით;

9. თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: „ხაზინის ერთიანი ანგარიში“
მიმღები ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა“
ბანკის კოდი: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300883212

10. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, მისთვის გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11. აუქციონში გამარჯვებულმა პირმა სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება უნდა გამოიყენოს ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული ბიზნეს საქმიანობისათვის, კერძოდ: კვების ობიექტის ფუნქციონირებისათვის;

12. პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა საქმიანობის დაწყებამდე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიასთან უნდა შეათანხმოს შიდა და გარე სივრცის ვიზუალური მოდელი, წარმოადგინოს (ფოტომონტაჟი);

13. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;

14. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილებამ პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის შესახებ ინფორმაციის განთავსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge;

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ირაკლი ლაზარაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი